

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N 9

ხაშური

2018 წლის 3 აპრილი

14-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე, ნოვე
ტაბატაძე, გურამ მაზიაშვილი, ლევან გამრეკელი.

სხდომას ესწრებოდნენ : საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მურმან
ცენგერაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ : დავით ღვალაძე-მერიის იურიდიული სამსახურის
უფროსი, გელა ლომიძე-მერიის საბიუჯეტო სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 8 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღვების) მოვლა-პატრონობის
და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ მერიიდან წარმოდგენილ
დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ანა ხარებავა

2. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის
დადგენისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ მერიიდან წარმოდგენილ
დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ანა ხარებავა

3. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №22 დადგენილებაში ცვლილებისა
და დამატების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ანა ხარებავა

4. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ანა ხარებავა

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი პროექტით წარმოდგენილი სახით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ მერიიდან წარმოდგენილ დადგენილების პროექტის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ნატო კიკაძემ, ნოვე ტაბატაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 8; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, რაც ეცნობოს ბიუროს სხდომას დღის წესრიგიდან საკითხის ამოღების მიზნით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის დადგენისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ მერიიდან წარმოდგენილ დადგენილების პროექტის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: იმედა მეტრეველმა, ნატო კიკაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 8; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ III საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №22 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: იმედა მეტრეველმა, ჯონდო კაპანაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 8; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ IV საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გურამ მაზიაშვილმა, ცოტნე ნოზაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 8; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე



ანა ხარებავა